„შეგაძუსროს მეხმა, შეგასვას, შეგცემს ნისლმა, ბურუსმა,

მამისა წყევლამ დაგაშალოს შენ და ყველა ძარღვნი უკურნელისა იართა დაგიწყვლელოს შენ.“

მეფე ლირი ცნობს, იცის, რომ რაღაც ცუდი, რაღაც ავირამ ემართება, და შეტებუნებული ეკითხება თავის თავს: „ნუ თუ აქ მე აღარავინა მცნობს?... არა, მე ლირი არა ვარ? ლირი ასე არ დადის? ასე არ ლაბარაკობს? რას აუბნა მისათვის თვალემ? გონება დაფრთხობია, თუ ცნება მიხედა? სძინავს თუ ღვიძავს? არა, აქ სხვა რამ უნდა იყოს! ერთი მიზნობით, მე ვინა ვარ? ლირის აჩრდილნი? მე ვხედავ, მე ვგრძნობ, მე გამეგება, რომ ყოველივე ჩემთან არის: ძლიერება, ჭკვა, გონება...“

ეს ტირიადა თუმცა მოწმობს მეფე ლირის აბნეულობას და დეპრონტირებას, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიმპტომები ზერელედ არის გამოხატული და მათ მყარი ხასიათი არა აქვთ. უქანსკელი მისი სიტყვებით — „მე ვხედავ, მე ვგრძნობ, მე გამეგება“ მივითვლივს გარე სამყაროს შეგრძნებათა აღქმის ჯერ კიდევ ინტაქტურ სფეროზე: ტრაგედიამ არის ისეთი ადგილები, რომლებიც საფუძვლად გვაძლავს დავასვენაო, რომ მეფე ლირს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ტიცილის ცნობნობა: იგი სასყებოთ გარკვევით ამბობს:

განა ჩემია ხე ხელები?... აბა გასინჯეთ... მტიკოა, მტიკოა... დიად, ქინძისთავი მჩხლეტს.

თავისი ავადმყოფური სულიერი მდგომარების შეცნობა აწინებს მეფეს და იგი მღელვარებით შესთხოვს შეცნობას:

„მალო ზეცისა, მომცე, მომცე
მე მოთინებამ!
ტიგის ნუ შემირყევე, დამიფარე
ჭკვიდან შემლისგან,
ჭკვისა დაკარგვა მაძრწუნებს მე!

ხოლო ავებლით ქარიშხლიან ღამეს მეფე ღირი კატე-
გორიულად აცხადებს, ჭკუა მერყევაო.

ტრაგედის მეორე მოქმედებაში ღირის ასულის რეგი-
ნასა და აღმანიის ჰერცოგის მხრივ ღირის უსულგულო და
უკმეზი მიღება კვლავ აღძრავს ღირში ძლიერ აღზნებას,
აქვე ვამჩნევთ მას მძიმე დაღვრემილობას, აჩქარებულ
გულისცემას და გულისწუხილის სუბიექტურ შერგნებას.

ჰოი, რა რიგად მომადგა მე ყელში
ნალექლამ!
ემშაკეულნო საღმობანო, წარკედილი
ჩემგან
და შენც, ნალექავე, ყელთმომდგარო,
ძირსვე დაეშვი...
აზვად გული! ამომიჯდა!.. ყელთ მომბუჯინა!
ვაი გლახ გულო! ძირს, ძირს წადი,
ნუ ამოღინხარ!

ამ მღვთმობარობას თან სდევს ღირის სასტიკი რისხვიანი
აფეთქება და წყევლა-კრულვა ასულთა მისამართით:

„ოჰ, თქვე ქაჯებო!.. თქვე აფთრებო!..
ველნისწიქნისო!
მე თქვენ გადაცხდით ისე, რომ მთელს
ცას და ქვეყანას...
მე თქვენ დაგმართებთ!.. რას დაგმართებთ,
თვით მე არ ვიცი,
მაგრამ კი ვიცი, რომ შვებარევე ქვეწიწიერებას
და დედა-მიწას თავზარს დაეცემ და
შვეაძრწუნებ.
თქვენ ჩემს ცრემლს ელით? თქვენ გგონიათ
რომ ავტირდები?
არ ავტირდები, თუმც ბევრი რამ
მაქვს სატირალი.
რომ ასი ათას ნაჭრად იქცეს ეს ჩემი გული,
მაინცა ცრემლით თვალთა ჩემთა არ წამოვიწონ!

(ხუმარას)

ერთოვლო ჩემო, ლამის ჭკვიდან შევიშალო მე!..

ღირის აღზნება-ეკვალიტაცია კულმინაციას აღწევს
შემდგომ ორ III და IV მოქმედებაში. უძილობით გაწა-
მებული, უსამინდობისადმი უგრძნობელი ღირი ქარიშხ-
ლიან ბოლოქარ ღამეში მიუსაფრად მინდილ-მინდილ დაე-
ხეტება: ამასთან ამკლავნებს უკიდურეს უსტორულ აღ-
ზნებას, — ცდილობს თავის თავს ფიზიკური ნება მიეყ-
ნოს და აფრქვევს იდეების დაუსტრომელ გრივალს:

იგი * აწ ეპბრძვის გულგამწყვრალთა
ბუნების კავშირთ,
გრივალს შებზღავის, — აღვაგეო ეს დედა-მიწა,

მიიტანე და ჩალუბეო ზღვისა სიღრმეში;
ან წამოღვარე თვითონ ზღუაო დედამიწაზედ.
რომ ეს ქვეყანა ან დაინთქას, ან ჩაირეცოს,
თავზე თმას იგლეჯს და ხელდამ სტაცებს
მას ქარი

და თვალთ უმალეს სისწრაფითა, ვინ
უწყს, სად ჰკარგავს;
აღამიანის სუსტის ღონით ვინ დასსდგომია
ერთად მოსეულს მასზედ გრივალს, წვიმას,
ავდარსა.

ამ დროს, როს დათვიც შემშილითა
ძუქუგამშრალი,
ღომი და მეგლი შემშილითვე ფერდ-ფერზე
მცემნი
წვანან და ძრწინან და ვერ ბედვენ გარედ
გამოსვლას,
ამ დროს ის მეთვი თავშიშველი
ცის ქვეშე დარბის
და სიკვილს იწვევს — ეს ქვეყანა
წარღვანს, წარწყმოდოს.

სულიერი აღზნების გამო ღირი უგრძნობელი ხდება
ფიზიკური ტკივილებისადმი, ხორციელი ტანჯვისადმი. —
გრივალს ჩემს გულში ჩაუბნევა ჩემი სხეულის ყველა
ტკივილიო. აჰე ქართა ქროლვას თან ვაყოლებ მტანჯავთა
ფიქრთა“ — ეუბნება ღირი კენტს. ველზე ხეტიალის
დროს, დავერის ახლოს ღირს იპყრობს მანიაკურად აღ-
ზნებული აღამიანისათვის დამახასიათებელი მიდრეკილე-
ბა — შეიმეოს თავი ყველაფრით, რაც კი ხელში მოხ-
დება.

გაკვიებული დარბის თურმე, ვით ელვა ზღვისა,
დარბის და მღერის მალაღის ხმით
ყვირის, იძახის,
მოუკრეფია ბალახები, მინდვრის ყვავილინი,
ქინძარი, მღოვივი, შხამ-ბალახა,
ყოლო, ჭიორტა,
ყაყარო და სხვა ღვარძლ-ბალახნი —
ყანის მხარგავნი
და ყოველი ეს გვირგვინსავით ჩაუწნავს თამაში.

მეფის ეს უცნაური მორთულობა იწვევს ედვარის სა-
მართლიან შენიშვნას:

„სალი გონება თავის ბატრონს ევრე არ მორთავს“.
მაგრამ კიდევ უფრო მეტად უცნაური და ახერხებულია
ღირის სიტყვა იმ მომენტში, როცა იგი თხოვს ედვარს —
გადმოიღოს ჩემს მხარეზე და შემიგროვე მეომრები ჩემი ჯა-
რისთვის. აზრთა მოზღვაება არღვევს მათ სწორ მდინა-
რებას, და ჩვენ ვამჩნევთ, რომ მეფე ერთი აზრიდან მეორე-
ზე გადადის. ყოველი ფრაზა, ცალკე აღებული, გრამატი-
კულად სწორია და არც შინაარსაა მოკლებული, მაგრამ
კავშირი აზრთა შორის არ არსებობს. და მთლიანად ვღებუ-
ლობთ ეკვალიტრებული აღამიანისათვის დამახასიათებელ
აზრების მდინარების დარღვევას, ურთიერთთან დაუკავ-
შირებელ იდეებს. აი, ამის მაგალითიც. ღირი ეუბნება
ედვარს: „ავად ხელდავთ, თავიკი. ნელა ნელა! დამაცათ!
მე მავას მოხარული ყველის ნაჭრით მოვიტყუებ და და-
ვიტყურ. ავერ, ჩემი რცინის ხელჯავავი! ჯარი რომ მომიგ-
როვე, ვასამრჯელო წაიღე და! აჰა, ფული — ის სულელი

* მეფე ღირი

ისე ეყრება თავის შვილდისას, როგორც ჩიტის საფრთხულს ფეიქრის ადგილი მინც მოშეკით! აგერ ხედეთ — თავია! ნელა ნელა!”

ზრუნვის აჩქარებულ დენა არღვევს ლირის ნებთს მოქმედებს, ჩასახული იდუა ხორცილდება უმაღლე ქმედობის სახით ისე, რომ ვერ ასწრებს წარმოშობს მეორე — კონტრასტული იდუა. აი, ლირის თვლი გაუელვა აზრმა: „ადამიანი — საბრძოლო, შიშველი, ორფეხა ცხოველია, და ამ აზრს უშუალოდ თან სდევს: „შორს ჩემგან ყველაფერი უცხოური! ჰეი, აქ გამიხსენიო!“ და მეფე იკლუჯს ტანზე შესაბამისად და რჩება ნაფეულეებში.

მე-3 მოქმედების მეექვსე სცენაში ლირის ეჩვენება ხედვითი და სენითი პალეონტოლოგიური სიმბოლოების ნიშნები: მას ელანდება ედგაროვა, კენტისა და ხუმარისაგან შემდგარი სასამართლოს წრისაზე ბრალდებულთა სახით წამდგარი ჰონერილია და რეგანა, და მოუსმის თითქოს ქოფავთა ხროვის ყეფა.

არც თვითმკვლელობის იდეა უცხოა ლირისათვის; აქი თხოვს იგი ოკორდელიას:

„თუ საწამლაკის მოწვედნა გუსურს, მომეც, დაღლე მე!

მამის ასეთი სულიერი მდგომარეობა შეშფოთებასა და ღრმა მწუხარებაში ავლევს კეთილშობილ კორდელიას, — მას იბყრობს შიში, ამ გიჟურმა მწუხარებამ ბოლო ხომ არ მოუღო მამასო, და ევედრება ქმის, ყოველივე იმის ფასად, რაც გამაჩინია, უშველე მამაჩემსო. კორდელია ეკითხება ექიმს:

„ნეტა ძალუქს იკაცთა ცოდნას, მეცნიერებას, რომ შერყეული მის გონება კვლავ ავადღინოს?

და ექიმიც დამამშვიდებელ, იმედთან პასუხს აძლევს კორდელიას:

„არის, ხელმწიფე, განკურნების ღონისძიება. ძილია მთელი ბუნებისა ძიძა,

მეკურნალი, და გაფრთხობია იგი იმას, მაგრამ ხელთა გვაქვს მრავალი ღონე, რომ თვით ტანჯვას ძილი მოვკვაროთ.

ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ექიმი გამოჩნდებოდა, ირვე-ლივ მყოფნი ცდილობდნენ ამა თუ იმ ღონისძიებით შეემს-ლოებუნებინათ ლირისთვის ტანჯვა და მწუხარება. მშობნი ვარ ქარიშხლიან ღამეს ლირის მხლებელ ხუმარას ცდა არ დაეკლია, რომ მიეყურებოდა მისი სულიერი ტკივილებზე, ხოლო ერთვოლი კენტი მე-3 მოქმედების მე-8 სცენაში ემუდარება თავის კეთილ მელმწიფეს — დაწევი და ცოტა მაინც მოისვენეო. შემდეგ, როცა მიძინებულს და დამ-შვიდებულს მეფეს დახედავს, კენტი ამბობს: ისვენებს მეფე განაშეზღუდილი, დე დაუბრუნოს ჯანმრთელობა ნანატრ-მა ძიძამო.

შემდგომში თვით ლირიც გრძნობს სამკურნალო დახ-მარების საჭიროებას და ითხოვს, მომგვარეო ექიმიო.

წაბლი (ალბათ, ნარკოტიკული), რომელიც ექიმმა ლირს მისცა, ისახავდა ერთ მთავარ მიზანს — სულიერად

დაავადებული ლირის დაძინებას. აქ ამ ავადილს მსტერებს არ იქნება მოკლებული აღვნიშნოთ, რომ მე-16 საუკუნის დიდად სახელმწიფეო ექიმი ბარაკლია ძილს მიიჩ-ნევს სულით ავადმყოფთა განკურნების ერთ-ერთ უმნიშ-ნელოვანეს საშუალებად. ეს ღონისძიება, მართლაც, უუ-ბარი აღმოჩნდა ლირისათვის, რომლის გამოვლიცების შემდეგ, ექიმი ეუბნება კორდელიას: „ღეღოფალო, მიმი-ლოცინია, თქვენ თვითონ ხედავთ, რომ სიშმაგემ გამოუ-რა“. ლირს სიშმაგემ გაუარა, მაგრამ ბედისგან მას კი-დედ ახალი და ახალი სასტიკი დატრამპდა მოელოდა. ომში დამარცხებულ, ტყვედ ჩაგარდნამ, სხვის ხელისგან სავე-რელი ასულის კორდელიას დღის მოსწრაფებამ, მის მკვლელთან სისხლიანმა ანკარაშესწორებამ საბოლოოდ გასტუმეს ლირის ფისუკური და სულიერი ძაღლიერი. იგი გრძნობს საერთო თხოვს... თვალთ უნდებოდა.

„მოცტყდი, დაგბრდი. მწუხარებამ დამაუძღურა. აქ ასე ხნელა. თვალნი ჩემნი ვეღარ ხედავენ,—

ამბობს ლირი. მოკლული კორდელიას სხეული, რომელიც მკლავებში აუტაცებია, მუტუღებში კევის მოხუცს სული ეხუტება, ქოშინი მოსდის... არ ყოფნის პაერი, და ლირი კვდება.

ასეთია მეფე ლირის ნაღვლიანი ისტორია. ცვალოთ ვაგერკეთო. რა სახის ფსიქოზით იყო შუაყრო-ბილი ლირი სიცოცხლის მიწურულში. ჩვენთვის არ არის ზუსტად ცნობილი ლირის დაავადების უშუალო, პირდა-პირი მიზეზი. ტრაგედიაში არის მხოლოდ მითითება მის ფსიქოპათიურ კონსტიტუციაზე. რომელიც ავადილად აღძ-რული ავექტური აფეთქებით არის გამოხატული. ლირის ტანჯვა-წამების უახლოეს საბაზად იქცა სულიერი შერყე-ვა, რომელიც ასე მოულოდნელად მოაზრადეს მისმა ქალი-შვილებმა. კორდელიასაგან მიყენებული ფსიქიკური ტრავმა იყო, ასე ვთქვათ, ნაპერწყალი, რომელმაც ცეცხლი დაანთო, ხოლო გონერილიას და რეგანას საქციელი — ნათი, რომ-მელმაც ცეცხლი მჭინვარე ხანძარად აქცია. მაგრამ ნაპერწყ-კალი მოხვდა ძალიან ადვილად ასაფეთქებელ ნიადაგს, და უმნიშვნელო მიზეზმა გრანდიოზული ექვეტი გამოიწვია. მეცნიერებაში ცნობილია შემთხვევები, როცა უცარი რისხვა გადაღის გრძელვადილად ავექტურ დაღვრე-ლობაში. ძალიან ხშირად უახლოესი საბაზი და მისი შე-დეგები არ არიან უთრეირთთან პირდაპირ პირობიციულ მი-მართებაში. რაღაც სრულიად უმნიშვნელო გაღიზიანება შეუძლია ფსიქოპათიური კონსტიტუციის მქონე ადამი-ანებში გამოიწვიოს უღლიერესი ავექტური აფეთქება. აქი თვითონ ლირი აღიარებს —

„მცირედი იგი შეცოდება კორდელიასი ვით მიქნება მე ესოდენ დიდად, ესდენ საზარად... ვით დარაღვია მან სიცოცხლის ჩემისა წყობა! ვით ამოაფთხო თვით ბუდიდენ მიდრეკილება მამაშვილებო, ბუნებრივი ჩემი მისადმი! ვით აღოსწოვა სიყვარული ჩემი გულიდამ და მის მავიერ ჩამიწვითა ზაფრა-ნაღველიო!“

ავექტური დაღვრელობა ანუ ბათოლოგიური ავექ-ტი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათს, ზოგჯერ რამდენიმე დღეს. ავადმყოფნი ამ მდგომარეობაში ხლებიან



შეურაცხადნი, ავრკისიულნი, ხეტიალობენ უმიზნოდ, აღ-
მოაფრქვევენ მთელს გრივალს იდეებისას, ბოდავენ, შმა-
გობენ და ა. შ. როცა გაუკეთით ბორგნულაობა, ისინი უსვე-
ვორ იხსენებენ იმ აფექტის დროს განცდილ ამბებს. ასეთ
მღვდმარობაშია ლირი, როცა გაიღვიძებს და გამკურნე-
ბელი ძილისაგან გამოფრქვევა: ლირმა არ იცის, მას არ
ახსოვს, თუ როგორ მოხვდა ზანაშვი, დოვერთან ახლოს.

„სად, სად ვიყავი აქამდე, ან ეხლა სად ვარ?
...ვერ მივმხვდარვარ, ეხლა სადა ვარ.
ტანისამოსიც სულ სხვა მაქვს ზედი
საიღამ? როგორ?
სად გავათიე წუხანდელი ღამეც, —
არ ვიცი!

ლირის ეს უცოდინარობა, ეს გაურკვეველობა მიეწერე-
ბა იმას, რომ მის მებსიერებაში წაიშალა, გაქრა მოგონე-
ბა წინადაღისა და წინა ღამის ამბებზე.

სიანტრესისა აღინიშნოს ისიც, რომ შექსპირის შემჩნეუ-
ლი და ასახულიც აქვს ლირის თანდათანო გონს მოსვლა,
ე. ი. დაღერემილ-ბორგნეული მდგომარეობიდან ნორმა-
ლურ მდგომარეობაში გადასვლა.

შეწუხებული კორდელიას შენიშვნაზე, რომ გამოღვი-
ძებული ლირი ისევ განაგრძობს ბოდავას, ექიმი უპასუხებს:

„ჯერ ბურანშია მცირე ხანსა
სჯობს, რომ მოშორდეთ“.

ხოლო როცა ლირმა იცნო კენტი და კორდელია, ექიმი
ანუგეშებს მეფის ასულს

„დედოფალო, მომილოცნია, თქვენ
თვითონ ხედავთ
რომ სიშმაგვე გადაურა“

მაგრამ ამასთან აფრთხილებს კორდელიას, არ გაახსენოს
ლირის განვლილი დარდი და მწუხარება.

იმ სიმბტომებიდან, რომლებიც ლირს ემჩნევა ხანმოკლე
ფსიქოზის დროს, კვლავ აღვნიშნავთ სმენისა და ხედვითის
პალუცინაციებს. ეს პალუცინაციები გვანისწებენ, რომ
ლირის მოშლილი აქვს შეგრძნებათა სფერო, მაგრამ კაცმა
რომ თქვას, ეს პალუცინაციები, სუსტად არიან გამოვლენ-
ილი და არ აღემატებიან ლირის სულეღირი წამების სხვა
დანარჩენ სიმბტომებს; მათ არა აქვთ საშიში ხასიათი:
ლირს ელანდება გონიერილია და რეკანა; ეს გასაგებია ფსი-
ქოლოგიურად, — რადგან სწორედ ისინი, მათი მოქმე-
დება ლირს ამ მომენტში ლირის ყველაზე მტკივნეული
ადგილი.

გარემომცველი სამყაროსადმი სწორი მიმართება ლირის
დარღვეული აქვს არა შეგრძნებათა, არამედ წარმოდგენა-
თა სფეროს მოშლის გამო: ერთი წარმოდგენის სწრაფი
შეცვლა მეორეთი, ეგრეთ წოდებული იდეათა გრივალის,
საშუალებას არ აძლევს ლირის ხანგრძლივად შეჩერდეს
ერთსა და იმავე აზრზე. ამის შედეგია ლირის ყურადღე-
ბის მოშლა და მისი უზნარობა გულისყური შეჩერის რა-
მეზე. ლირის წარმოდგენის, თუ მათ ც-ლცალევი ავიღებთ,
მეტწილად არ არის არანა მოკლებული: ჩვე ვერ ვამჩ-
ნებთ ლირის მეტყველებაში ერთგვაროვან ბოდავით

იდეებს, მით უფრო ნატამალიც არ არის მასში სისტემა-
ტიზირებული ბოდავისა, ისეთი, როგორც სვეტიცხოველი
ნის მანით ან განდღებების მანით შეპყრობილ ავად-
მყოფებს.

ლირის ნების გამოვლენებანიც, ქმედობანიც დაქვემ-
დებარებული არიან იდეათა ასოციაციების აჩქარებულ
ტემპს. ლირი ერთი წუთითაც ვერ იხვენებს ერთ ადგილზე;
სულ მოძრაობაშია, ავრკისიულია, უგრძნობლად გრივა-
ლის შემოტევისას; სურს ერთი აღუდგეს წინ გრივალს და
წვიმას.

ყოველივე ამასთან ერთად მისი ინტელექტური სფერო
თავისი შინაარსით არ ამქვანავს მცირეოდენ დევექტსაც
კი „ჭკუანაკულის ერთ აზრსაც კი ვერ გამჩნევთ ლირის
მეტყველებაში ტრაგედიის მთელს მანძილზე.“

ელგარი მოსწრებულად შენიშნავს, რომ ლირის მეტყ-
ველებაში, „სიმართლედ ბოდავის გადახლართვა, გონიერე-
ბა — შემოიღობას“.

მაგრამ ამ შემოიღობაში ელგარი გულისხმობს არა
ჭკუანაკლებობას, არამედ საერთოდ სულეღირ მოშლილო-
ბას. ახლაც — ჩვენს დროს ყოველდღიურ ცხოვრებაში
ყველა სულით ავადმყოფს უწოდებენ შემოიღოს, რაც
ოდნავ ამ შეცხამება სინამდვილეს.

ამრიგად, ჩვენ უარყოფთ ლირის ინტელექტურ, გო-
ნებრივ დევექტს და ამით უარყოფთ იმასაც, რომ მეფე
ლირს ბებრული ჭკუანაკლებობა სჭირდეს. მიუხედავად ლი-
რის ღრმა სიბერისა, მიუხედავად მისი პირადი აღიარები-
სა, დაებერდა და გამოვსულადღიერ, მიუხედავად კორდე-
ლის განცხადებისა, — მწუხარებამ მანა ბავშვად აქციაო,
არსად ტრაგედიაში არ ეხედებით დიდებულ მოხუცის
გონებრივი სფეროს მოშლის სიმბტომებს. განა შეიძლება
ჭკუანაკულმა წარმოსთქვას ის მონოლოგი, რომელსაც
ელირი ამბობს უმადურესი გაღიზიანების მომენტში, კარ-
ვის წინ, მრისხანე გრივალის დროს? აი ისიც:

ტიელოხერნო, უბედურნო,
შიშველ-ტიტეველი!
რას შეგებით მაშინ, რის მოვისწრებთ
ესეთი ღამე?
მშიერ-მწყურვალნი, უმიხსენი, უსახლარონი
ნეტა ვით იტანთ ამისთანა ვიკივალახსა?
გია, რომ ეს ელენ ცოტა თქვეწზედ
მე მიზრუნვია!
კარგი ჯულაბი, სიმდიდრეო, შენთვის
იქნება,
რომ ჩაგრულყოფა უბედურთა შენც
განიცლო,
მაშინ, მეტ ლუკას შენსას იმათ გაუზოგებ,
მით დაბატკივებ, რომ სიმართლედ ქვეყნად
ყოფილა.

ამგვარად, თუ ყოველსავე შემოთქმულს კიდევ იმ ვარე-
მოებასაც დავემატებთ, რომ ლირის ფსიქოზი განკურნე-
ბით დათმავრდა, ჩვენ შევიძლია კატეგორიულად და-
ვასკენათ, რომ ფსიქოზი, რომლითაც შეპყრობილი იყო
ლირი, არის არა ინტელექტური, არამედ ემოციური.

ამაზე უფრო ახლი რომ მიუდგეთ დიაგნოზს, შეუძლე-



ბელია. ამ შემთხვევაში ზედმეტი პედანტიზმიც იქნებოდა, თუ მოვისურვებდით, რომ შექსპირის მიერ სამასზე მეტა წლის წინათ დახატული ავადმყოფობის სურათი შეგვეტანა თანამედროვე ფსიქიატრიის რომელიმე რუბრიკაში მამინ, როცა ვიცით, თუ რა მდომე რყევას ექვემდებარება ახლაც კი ფსიქიატრიის მონაცემები. ის სულიერ დაავადებებიდან, რომლებსაც ყველაზე მეტად უახლოვდება მეფე ლირის მდგომარეობა, ჩვენ აღვნიშნავთ: მანიაკურ-დეპრესიულ მდგომარეობას, მძაფრ აბნეულობას და პათოლოგიურ აფექტს. მანიაკური აღზნების სიმპტომი, რომელიც საერთოა სულიერი ავადმყოფობის ყველა ამ სახეობისათვის, შექსპირს გადმოცემული აქვს გასაოცარი სხატობით; ჩვენს თვალწინა ამ აღზნების ყველა დეტალი: მოძრაობითი აღზნება, უმიზნო ხეტიალი, თავშეუკავებელი მეტყველება, მცდარი გრძობები, აბნეულობა უაღრესი აღზნებისას, თვითწამება და ა. შ.

შექსპირი არ ყოფილა ექიმი, მით უფრო ფსიქიატრი, ამიტომ ჩვენ არც გვაქვს უღლება მის მეტი მოთხოვნები წავუყენოთ.

შედარებით დიდი ხანი არ არის, რაც ფსიქიატრია გახდა კლინიკური მეცნიერება, რომელიც სულიერ დაავადებას სწავლობს იმის მიხედვით, თუ როგორია ადამიანის კონსტიტუცია, მემკვიდრეობა, გარემომცველი სინამდვილის და სოციალური პირობების გავლენა.

ფსიქიატრიამ, ვიდრე იგი ცენტრალური ნერვული სისტემის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის შესწავლაზე დაფუძნებული კლინიკურ მეცნიერებად იქცეოდა, გაიარა დიავანოსტიკის იმ ფსიქოლოგიური მეთოდების სტადია, რომელთაც ზოგჯერ ახლაც მიმართავენ.

შექსპირის დროს ფსიქიატრიის აზროვნება ოდნავადაც არ განსხვავდებოდა ფსიქოლოგიური აზროვნებისაგან. ჩვენ ახლა კარგად ვიცით, რომ ფსიქიურმა ტრავმამ შეიძლება გამოიწვიოს სულიერი წონასწორობის დარღვევა, თვით ფსიქოზიც კი, და თუ შექსპირმა სამასზე მეტი წლის წინათ ასე ზედმიწევნით დახატა მეფე ლირის ფსიქოზის სურათი, სახელი და დიდება მის გენიალურ ნიჭს!

შექსპირმა, რომელიც გრძობდა ადამიანის სულის უფაქიზეს მოძრაობას, მის ყოველ ნიუანსს, შესაძლებლად არ სცნო ქალიშვილისაგან შეურაცხყოფილი, შვილების მოყვარული მამის ტრაგედია მოეცა, როგორც უბრალო ფიზიოლოგიური ადტიკინება. ფიზიოლოგიური ტანჯვის ჩარჩოები შექსპირისათვის ეწორო აღმოჩნდა, რადგან ლირის ტანჯვა არ იყო უბრალო; ეს იყო უშუაგვესი სულიერი ტკივილი, რომელიც ნორმალურის ფარგლებს გაცდა და ფსიქოლოგიურად რომ ვთქვათ, შეშლილობაში, სიგიჟეში გადავიდა. შექსპირის შორს გამჭვრეტმა გენიამ ამ სიგიჟე ერთადერთი დასაშვები გამოსახულება მისცა: ლირი არ წარმოგვიდგინა ჭკუნაკულულად. ტრაგედიის დამთავრებამდე იგი რჩება შეუზღალველი ინტელექტით, და მთელი მისი სიგიჟე ფარგლება მხოლოდ მისი სულიერი სამყაროს აფექტური სფეროთი.

სამას წელზე მეტი დრო გავიდა „მეფე ლირის“ დაწერის დღიდან. მას შემდეგ ფსიქიატრიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მაგრამ ჯერ კიდევ არ გამოჩენილა დრამატურგი, რომელსაც ესოდენი სიმართლით წარმოესახოს სამინელი ტანჯვა-წამების მუხურტუმბო მოქცეული ადამიანის სულის ტრაგედია.

შექსპირის გარდაცვალების ორასი წლის თავზე არა სხვა ვინმემ, თვით გოთემე აღიარა იგი მსოფლიოს გენიოსად. თავის წერილს დიდ დრამატურგზე დიდმა ოლიმპიელმა უწოდა: „Shakespeare and kein Ende“, ე. ი. „შექსპირი და არა აქვს მის დაბოლოება“. მართლაც არ არის არავითარი შესაძლებლობა დავასრულოთ საუბარი შექსპირის თემაზე... ის შეიძლება მხოლოდ შევწყვიტოთ.

ჩვენ არ ძალგვიძს თავი შევიკავოთ აღტაცებისაგან ამ ბუმბერაზი პოეტის შესანიშნავი პიროვნების წინაშე, რომლის მთელი ზრახვები და მისწრაფებანი ადამიანის სულის პრობლემის გადაწყვეტისაკენ იყო მიმართული. ყველა დროის და ქვეყნის უდიდესი პოეტი — შექსპირი იწვოდა კონდის დაუცხრომელი ძიებით. ის ღრპად იყო დარწმუნებული, რომ „უცილობა სასჯელია, ხლო ცოდნა — ფრთები, რომელიც მალა მიგაფურენს“.

მ. სარაიანი



ოკროს შემოღობა

ნათელა იანქოშვილი

ფარნაოზ ლაბიაშვილი

ს აქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში თითქმის ორ თვეს იყო ექსპონირებული ნათელა იანქოშვილის ხაწარმოებთა გამოფენა. მხატვრის ეს პერაონალური გამოსვლა მიიმენელოვანი ფაქტია ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებაში. გათოფენას ქონდა სასახლობითი მოძიბელობო, ხოლო ცალკეულ ნაბუშერებს — კარგი ფერწერული ინტერარეტაცია.

ფერწერის კანონების ცოდნა არ წარმოადგენს დიდ სიძხულეს, მათი შესწავლა ყველას შეუძლია. ამ კანონების კარგად გამოყენებაა თვლი, რადგამ ამისათვის საჭიროა წერია დიდი არატექიკა და, რაც მთავარია, მოსადლებული ხიჭი ფერწერის ორგესტრაციისა. ცოტაა ჩვენში დღეს მხატვათი, რომელსაც აქონდეს ფერის ისეთი დამაჯერებლოა, ნახატის ლაკოთურობა და შინაგონების იეთი ძალა, როგორც აქვს ნათელა იანქოშვილს „მაძის პორტრეტში“. აქ არ არია უბრალო მკვაყება, აქ თვით სულია გახსნილი. ტექნიკა აქ გვევლინება როგორც ფაქტორი სახიერებისა, რადგამ მისი საბულებით გადმოცეპულია მოდელის ბულსაცია. სურათში ფორმა, ფერი, ადამიანის ფსიქოლოგიურად შთამბეჭდავი იერი ღრმა სიმართლითაა აღსავსე. მოყვითალო სიხათლით განათებულ სახეზე მწვენე ჩრდილი შავი ფერის ენერგიული მონასმით არის ხაზგასმული და მოარიაფისფრო-ყვითული ქრომისფერი რეფლექსით ცივ ზურმუხტისფერ ფონზე გამოკვეთილი.

„მაძის პორტრეტი“ იანქოშვილის შემოქმედების ნამდვილი შედეგია.

ნათელა იანქოშვილი დაჯილდოებულია გარემოს თავისეპური აღქმისა და მიაი ორიგინალურად გამოსახვის მახვილი უნარით. ფერთა ცოცხალი კონტრასტებითა და პარმონიით ძერწვის იგი პორტრეტებს, მუდამ დაუკმაყოფილებელი და მხურვალე მაძიებელი შინაგანი სიმართლისა. ამ მხრივ „ნათელა იანქოშვილის პორტრეტი“, ჩვენის აზრით, საუკეთესო ხიბუშად უნდა იქნეს მიჩნეული ქართულ პორტრეტული ხელოვნებაში. ზურმუხტისფერი ფონზე ცივი სიხათლით გახათებული სახე მოდელირებულია მოშავო ზურმუხტით, დამწვენებულაა სადად აღებული შავი თმებით. იყ კარგად არის მონახული სინათლის, ჩრდილის და რეფლექსების ტონების თანაფარდობა, რომ მიღწეულია სრული მოცულობითი აღქმა. სურათის ქვედა ნახევარში მხატვარს სრულიად ბრტყლად აქვს დაწერილი შავი, ყელამდე დახურული სამოსი, რომელზეც გათამაშებულია კამკამა წითელი ფერის გრძელი ყელსაკიდი და მსუყვდ დაწერილი მუქი წითელი ხელთაძიანი, რომლის მოდელირებისათვის გამოყენებულია მწვენე რეფლექსი, როგორც სურათის უკანასკნელი და საჭირო აკორდი.

იანქოშვილს პალიტრა აწყობილი დე მორგებული აქვს ისე თითქოს ფუნჯს მისი ხელი კი არა, გული ატარებდეს. წერის პროცესში არ ითიშება შინაგანი ხედვისა და განცდლის ექსტაზისგან, დაუცხრომლად ეძებს გზას და პოულობს კიდევ ეს კი რჩეულთა ხვედრია. მისი „ოცნება“ შექმნილია დიდი შინაგანი მდღეგარებით. ფორმალურ ამოცანებზე ნავარჯიშევი მხატვრის მიერ, სურათი დაწერილია ღია გამაში, ცივი მომწვანო-მოლურჯო და ღია მოვარდისფრო-ვერცხლისფერი ტონების მოდულაციით. ღია ცივ ფონზე კიდევ უფრო ნათელი ტონებით მოდელირებული სახე აქცენტირებულია შავი ფართო მონასმით აღებული თმებით, ასეთივე ფართო შავი მონასმი, რომელიც თმების სიშავეს უბასუხებს, დატოვებულია ფონში. ეს ორი შავი ლაქა ემოციურ განწყობას ქმნის ღია ფერის კოლორების ფონზე და სურათის სიღრმესა და მოეტურობას მატებს. ნამუშევარი პლენერისტულ იერსაც ატარებს.

„ირმა ჩოფიყაშვილის პორტრეტში“ ნახატის მინიმა-



ნათელა იანქოშვილი



სიანები

გუშა



მეშატე

გუამი

ლური საშუალებით, მინიმალური ფერების კომბინაციით მხატვარი აღწევს გამომსახველობის მაქსიმალურ ეფექტს. პლასტიკური ფორმის მონუმენტური სიძაბე და კოლორიტის ემოციურობა, სახასიათოს ენერგიული აქცენტირება და წარის არტიკულულობა სურათს მთლიანობას აძლევს.

იანქოშვილის ადრინდელ ნამუშევრებში არის კლასიკური მხატვრობის ზოგიერთი ელემენტი, მაგრამ ისე ღრმად არის განცდილი და ორიგინალურად გამოვლენილი, რომ ეს ლოკალურად გამართლებულია მის შემოქმედებით სიმპაქეში.

მხატვრის ზოგიერთ სურათში მელოდრამატული ხასიათის ჩანაფიქრიც გვხვდება, რაც ეწინააღმდეგება საერთოდ მის სადა და გულწრფელ, მძლავრსა და ფართო ტემპერამენტს.

მის შთამბეჭდავ პორტრეტებს დიდი ძალა ეძლევათ, როცა ის წერს გულწრფელად, რწმენითა და გატაცებით. „ლია ავაჯანოვას პორტრეტი“ ერთი საუკეთესო პორტრეტთანია. მისი ტრაქტიკაა ზუსტი და სადაა, ლაქები — მსუყუ და ენერგიული. კარგად არის მონახული პლასტიკური მხარე, სინათლის ფართო ბლანი სახეზე და წითელ მანისურზე, რომლის ფონზე სილუეტად გამოიყოფა ხელთათმანიაში მარჯვენა ხელი, მუქი უფთელი ყვავილით. სურათი ილუმინირებულია ალსაქსე.

მოდერნის ინდივიდუალური ხასიათის გადმოცემისა და ფსიქოლოგიური დახასიათების გარდა, მხატვარი გამახვილებულ ინტერესს იჩენს ფორმალური მომენტებისადმი. მიხი წერის მანერა არ გაეცა იმპრესიონისტების დანაწევრებულ მონასს. ის ეძებს გარემოს არა გარეგან და ცვალებად ეფექტებს, ილუზორი მკერეტი გატაცებული, არამედ მარღვიანად, მტკიცედ და ფართოდ წერს შინაგანი ხედვით შეპყრობილი და განცდებით დაძაბული. მისი ფე-

რების გამა ინარჩუნებს ინდივიდუალურ თავისებურებას ტონის ინტენსივობით და გამბედილი ორკესტრაციით. მხატვრის საყვარელი თხაფარულია — შვეიცარია. შვეიცარია და ორივე ფერისა ყველა რეგისტრში აღებულ ყვეთელთან, გადაწყვეტილია დიდი შინაგანი არტიკულით. როცა ლაპარაკია ფიროსმანთან იანქოშვილის მსგავსებაზე, უდა ითქვას, რომ იგი ამ ჯადოქარს აწორედ ამ ასპექტში წააგავს, რითაც თვითონ ფიროსმანი ფერწერის ზოგიერთ ბუბერას ხსენაუცხვება.

იანქოშვილის ნაწარმოებთან თავისუფლად შეირჩევა ათი ისეთი ნამუშევარი, რომლებიც ქართული მხატვრობის საგანძურში საბატო ადგილს დამკვიდრებენ. „შვი პალიტრა“, მისი ნამუშევრებიდან ერთ-ერთი საუკეთესო, მეტად თავისთავად ტილოა. კომპოზიცია, ნახატი სადაა და მტკიცე. პორტრეტული კომპოზიციის შექმნის ხერხი გვაგონებს ვენეციელ და ესპანელ კოლორისტებს. სურათის სიმბრტყეზე დიდი გემოვნებით არის მონახული სახის, პალიტრისა და მარცხენა ხელის მდებარეობა. ცივი ვერცხლისფერი სინათლე დაღერილია ფართო პლანად სახესა და ფონზე. მთელი სურათი დაწერილია მოცისფრო-მომწვანო ნახევარტონებისა და მომწვანო-შავი ტონების ნერგიული შენაცვლებით და ტემპერამენტური მონასმებით. მასზე ვათამაშებულა მგელი რეგისტრების ცივი, მოვარდისფრო-ვერცხლისფერი ნათელი ტონი. ფერის მოდულაციით გადმოცემულია პორტრეტის სტრუქტურული და მოცულობითი მხარე. ფერწერა მატერიალურია და სურათი მეტად კოლორიტული, ალსაქსე დიდი შინაგანი ექსპრესიით.

როგორც ქემშირტი ფერწერადას, ნათელა იანქოშვილს არ უყვარს აქსუსარებით ნაწარმოებთა გადატვირთვა და ანტრუაჟის დეტალური აღწერვა. აქედანაა, მისი პორტრეტების დიდი სისადავე. მხატვრული მთლიანობა შექმნი-

„ესპანური ნოკლეების“ ყდა





ნ. იაშვილი

შვილი პალიტრა



ლია ნატყვი გემოვნებით მიკვლეული ნაწილებით, ასეთია მისი „ციალა ყიფიანის პორტრეტი“, „ელ. გელდიაშვილი“, „ფისო ყარაღამაშვილის პორტრეტი“, „გურული ხელაღი“ და მრავალი სხვა. ამ პორტრეტებში ჩვეულებრივად აღა-
მიანთა დახასიათების დიდ სიართულეს; ამიტომაც არიან ისინი ასე დამაჯერებელი. ტილოზე ცოცხლობენ და სუნ-
თქავენ. ამაშია იახეოშვილის, როგორც მხატვრის, არსე-
ბითი გამარჯვება.

მხატვარი კომპოზიციას მუდამ მტკიცედ და თავისუფ-
ლად აგებს, ამასთან არაჩვეულებრივი გემოვნებით ანაწი-
ლებს ლაქებს სურათში. წერის ცხოველი მანერით კი მათ
კიდევ უფრო დიდი ემოციური დატვირთვა ეალევათ. სურ-
რათში „ლილი ძალღი“ ლაღად, გაბედულად და ენერგი-
ულად არის დაწერილი მოდლის სახეზე და მკერდზე
დაფრქვეული ვერცხლისფერი სინათლე, თეთრი ძალღი
ვარდისფერი ზახტით. ამ ორ განათებულ ლაქას პარაზონი-
ულად აერთიანებს დიდი ექსპრესიით და ფართოდ დაწერი-
ლი მოშავო-ზურმუხტისფერი ფონი.

იანქოშვილის ფერწერა მატერიალური და მკერვიია,
თუმცა მონაში სქელია, მაგრამ მას აქვს გამწვანებლბა
და შინაგანი სინათლე. მუქი ზურმუხტისფერი ტონები
თითქოს ფოსფორივით ასხივებენ მოციმციმე სინათლეს.
ეს კი გაბირობებულია ტონის ძალზე თავისებური აღებით.
ფერი ნ. იანქოშვილისათვის მხატვრული გამოსახვის მთა-
ვარი საშუალებაა, რითაც იქმნება მწყობრი და ღრმად
ორიგინალური ფერადოვანი სისტემა. ახალ ნამუშევრებში
ეს სისტემა დაფუძნებულია მწვანისა და შავის აქტიურ თა-
ნაფარდობაზე. მხატვარი მომწვენს და მოშავო ვალერების
საშუალებით ძერწავს ფორმებს, მათივე საშუალებით აერ-
თიანებს სხვადასხვა ფერის სიბრტყეს, ამ ვალერებითვე
ქმნის მოციმციმე პაეროვან გარემოს. პაეროვანი გარემოს



ქალიფილი ჰრელი თავსაფრით

გუამი

თეატრალური მოტივი,

გუამი



ეს მწვანე ცილი მომხილავ სიმსუბუქეს აძლევს მკერვი
ფერწერას. შავ ფერს მხატვარი ძალზე მოხდებილად იყ-
ნებს და ხმარობს კოლორითი ფერადობის გასაძლიერ-
რებლად. ფერის დიდი გამოსახველობითი ძალის, პლას-
ტიკური ფორმის სისადავისა და ადამიანთა დახასიათების
ფსიქოლოგიური სიფაქიზია წყალობით მისი პორტრეტები
დიდახს გააახსოვრდებათ. ნამუშევრები ზემოქმედების
ძალას იძებენ მოდელის არა იდეალიზების ტენდენციით,
ზახს სტილიზაციით, არამედ დიდი მხატვრული ტაქტით,
კეთილშობილი სილუეტებით, შინაგანი რიტმითა და მკაც-
რი კოლორითი.

იანქოშვილის ფერწერას ახასიათებს დეკორატიული
გამომსახველობა და გარკვეული ბირობითობა, რისი საშუ-
ალებითაც მხატვარი მოხერხებულად აკეთებს აზრობრივ
აქცენტებს. მისი მხატვრული ზუენების არსებითი თვისებე-
ნია მხატვრული სახის რეალისტური ინტერპრეტაცია, გან-
ცდის ძალადი ინტენსიურობა, კომპოზიციის გაბედული
აგება და რიტმის შინაგანი მოლიანობა, წერის ცხოველ-
მყოფელი მანერა და ფერწერის კეთილშობილობა, სისადა-
ვე, ძერწეული მონუაენტურ ზეაწეულობასთან.

მხატვრის შემოქმედების ამ ღირსშესანიშნავ თვისე-
ბებს ვხვდეთ აგრეთვე მისი გრაფიკის მნიშვნელოვან ნა-
წილში. გამოსახვის გრაფიკული ხერხების გამოყენებისას
მხატვარი ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ უშუალო-
ბას, გატაცებით ექებს და აბოულობს ახალ სახეებს. მეტად
საინტერესო ციკლად მიმანია სვანეთის თემაზე შექმნილი
ნამუშევრები „სვანები“, „სიმღერა მუნირზე“, „მემაგი“,
„ქორამახეში“.

ნაწარმოებებში შესანიშნავად არის გადმოცემული
ბლასტიკური ფორმის მონუმენტური სიმკაცრე, რაც ნა-



კრიმინული

გუაში

კარნახევი მასალის ხასიათით და ეთნოგრაფიის თავისებურებით. ძაღვ თეთრის ნერვიული შენაცვლებით მხატვარი ქმნის ნათელ კომპოზიციებს. ფორმათა განზოგადებით მკაფიოდ არია დახასიათებული ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანების კონკრეტული სახეები. აქაც კვლავ ჩანს მხატვრის დიდი გაბედულება შერწყმული სიმაართესთან, რითაც გრაფიკული ნაბეჭებები ეს შთაბეჭდავი სერია მისი ფერწერული პორტრეტების მხატვრულ დონეს უახლოვდება.

მხატვრის დიდ ალღოზე მეტყველებს სურათი „თამარ მეფე“. ამ სურათის კომპოზიცია შექმნილია თავისუფლად, ხასიათდება სიმტკიცითა და დამთავრებულობით; ინტენსიური შავით მოხაზული და სურათის ზედა კიდეით გააქვრილი გვირგვინი, შავი ფერთივე ენერგიულად შემოხაზული სადა ოვალი სახისა, რომელსაც ასევე შავი ფერის დალალები დაყვება, მშვენიერად არის შეფარდებული სურათის ფორმატთან. დალალების შავი ვერტიკალები გაწონასწორებულია ჰორიზონტალური მწკანე ზოლებით, დაწყებული სახის ოვალიდან, სურათის ქვედა კიდემდე. შავი ვერტიკალებისა და ჰორიზონტალური ხაზების ასეთი შეცვლებით, მწვანე ტონების ღრმა გრადაციებით არის აქცენტირებული სახის ცივი მოვარდისფრო ტონი.

მეტყველია „განშორების წუთები“. წინა პლანზე პროფილში გამოსახული მამაკაცის სახე მოხდენილად არის

დაკავშირებული მცირე რაკურსით ანფასში მოცემულ ქალების სახესთან. სახეების მეტყველი მლუმარება ამდებულა ლად გამოგვეცემს მათ შინაგან დიალოგს.

ასეთსავე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს „ტაძრის ბნელ კუთხეში“ და „მარადისობის საიდუმლო“. ერთიც და მეორეც შთაბეჭდილია ქართული ფრესკული მხატვრობით. მხატვრული სიმართლისაკენ მისწრაფებული შემოქმედი ჰუმანიტი ფერმწერლის ტემპერამენტითა და მღელვარე ფუნჯით ქმნის უაღრესად სახოვან, ეროვნული იერით აღსავსე სურათებს.

გვახსოვს ნათელა იანქოშვილის სურათები სულ რამდენიმე წლის წინათ შექმნილი. ეს სურათები მეტყველებდნენ მხატვრის გატაცებულ ძიებებზე და დიდ იმედებს იძლეოდნენ. ამ პერიოდში ის ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა სრულყოფილად ეთქვა თავისი სათქმელი. საქმრო იყო ფერწერის კონკრეტულ ამოცანებზე ვარჯიში შემოქმედებითი ინდივიდუალობის გასახსნელად. შეუპოვარმა შემოქმედებთმა შრომამ განაპირობა მისი ეგზოტიკული წარმატება. ის ჯერ ახალგაზრდაა. გამოფენამ მისი შესაძლებლობები მხოლოდ ნაწილობრივ თუ გამოხატა. მთავარი კი მომავლის საქმეა, თვითუღი წელი შემდგომი წინსვლის საწინდარია ისეთი დაუცხრომელი და მგზნებარე მხატვრისათვის, როგორც ნათელა იანქოშვილია. ვუსურვოთ მას ნათელი სარბილი შემოქმედების დიდ გზაზე.

მელა კახიძის პორტრეტი

ზეთი



იოანე ბაგრატიონი-მხატვარი

ლილი ქუთათელაძე

იოანე ბაგრატიონი (1768-1830), ქართველ ენციკლოპედისტა და განმანათლებელს, თავისი საკომოზო წიგლით ხელოვნებაშიც შეუტანია. „კალმასობაში“ მას ეახნილელი აქვს ხელოვნების დარგები, როგორც არის, მაგალითად, ვალოზა და ფერწერა. თავში „ვალთისათვის“¹ აღწერილია ვალოზის რაობა და მისი სახეები, კილოსა და ტირლთა 24 გვარი, ვალოზათა თქმად შეწყობა ანუ მისი სახმინაობა.

იოანე ბაგრატიონი ძველი ქართული ვალოზის რაობის აღწერით არ დამაყოფილებულა და მუსიკალურ ინსტრუმენტზე ვალოზათა ვადატანა უცდია, და რადგან საამისოდ საჭირო იქნებოდა წიგნები, მას „ნოტის გუარნი“ შეუქმნია (H — 2241)².

ამ პატარა მოცულობის ნაშრომში, რომელიც სახელმძღვანელოს წარმოადგენს, მუსიკის თეორიულან დატოვლისწინებულა ისეთი დეტალი, რაც ვადატანებისთვის, რომ იოანე ბაგრატიონი ხელოვნების ამ დარგსაც შედმიწვენიყოფილი დაუფლებული. ამ წიგნის დასაწყისს იგი წერს:

„...და მე, ეს ამისთვის შევიძინე [ქართველებს — ლ. ქ.], რომ ვისაც ნებას ჩანებუდ და კლავიკორდზედ ქართული ვალოზა, ეს ფარდები უნდა იხმაროს, რომ მოვიდეს სწორად გასობა...“

ბეტერბურგში სამუდამოდ დამკვიდრებული იოანე ბაგრატიონი თავის ცოდვის ყველა დარგს აკავშირებდა ქართულთან და საკონტრელისტთან.

ამჯერად ჩვენს კვლევის საგანს შეადგენს იოანე ბაგრატიონი — მხატვარი. ამ მხრივ იგი დღემდე ცნობილი არ არის.

როგორც აღინიშნა, „კალმასობაში“ იოანე ბაგრატიონი იძლევა ცნობებს ფერების შესახებაც; ამ თავს ეწოდებოდა „ფერთათვის“. მასში ლაპარაკია ძირითად ფერებზე და მათი შეხავებით შექმნილ მეორად ფერებზე, იოანე ფერთა შესახებ ასე ლაპარაკებს თავისი თხზულების მთავარ გვირგვინში:

„... უკეთეს ვსურის, რათამცა საფუძვლიანად უწყვილეთ ფერებთა მიხეზნი, ეს იხილეთ ირისკა შინა ანუ ცინაყურასა ზედა, ოდესცა გამოჩნდების იგი და მას შინა მზისა უკუშ შარავანდელი შეეხებინან, მაშინ იხილავ, რომელ მას ზედად გამოიხატნენ სხვადასხვა უკუშ მარტივნი ფერნი მისა შარავანდლისანი. ე. ი. წითელი, ყვითელი, სისხანი, მწვანე, ლურჯი, და მთითორი და ამას დამტკიცებულ ჰყოფენ ფილოსოფოსნი, რომელ თვთ მარტოზნი ფერნი უკუშ ესენი არიან, ხოლო ზედანი უკუშ ფერებნი ურთიერთსა შორის არევიით ფერებთათა გამოჩნდებიან, ვითარცა მხატვართაგან შეხავებულნი საშხატრ უკუშ წყაბდნი და ფერებისა გამკეთებელთაგან ფერადები“³...

იოანე ბაგრატიონის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა ყველა დაარწმუნებს, რომ მას კარგად ჰქონია შეგავსებული ხელოვნების სხვადასხვა დარგი. იოანე „კალმასობაში“ გათვთქმული თეორიული მოსაზრებებისა, მას პრაქტიკულდაც უუწყავსია, ვასაკეთებრები თხატვრობაში.

მხატვრობით იოანე ბაგრატიონის დანტერესებას მოწმობს ერთ-ერთი ხელნაწიერი, რომელიც ხაუვაბატის შესასწავლ სახელმძღვანელოს წარმოადგენს⁴. მისი ავტორია გერმანელი მხატვარი, ხიურბერგის სახატვრო აკადემიის რექტორი იოანე-დანიელ პრესილერი. სახელმძღვანელო თარგმნილია გერმანულიდან რუსულ ენაზე. დაბეჭდილია გერმანული ტექსტის (კოთხეტი შრიფტით) და მის პარალელურად რუსული თარგმანის. თარგმნელებს ასევე ორენოვანია. მოგვყავს რუსული სათაურით: „Основательныя правила или краткое руководство къ рисовальному художеству, часть первая, изданная от Иоханна Даниэля Прейслера, управителя Нюрнбергской академии живописного художества. Переведено с немецкаго языка при академии наук С. Петербурга“.

ი. დ. პრესილერის სახელმძღვანელოს შედგენა დაუსრულებია 1732 წელს (გვ. 108, წინასიტყვაობა), ხოლო რუსულ ენაზე იგი უთარგმნიათ და დაუსტყვაობთ ბეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში 1749 წელს.

პრესილერის წიგნი სამი ნაწილად იყო შედგენილი (თითოეულს წამდგარეული ამქს და მოუცილებელი თარგმნელები).

პირველ ნაწილში მოქცემულია დარიგებანი ხატვისმოყვარე ყრმათათვის და განხილულია, თუ როგორ უნდა დაიხატოს სახის ნაკვთები, სხეული, კიდურები და სხვ. ამ ნაწილს ერთვის შესავერი მონახატები: თალის, ყურის, ბავუთა, მთლიანად თავისა სხვადასხვა მდგომარეობაში, ფეხისა, ტერფისა, მკლავისა, მტკენისა და სხვ.

მეორე ნაწილში ლაპარაკია იმ წესებზე და პროპორციებზე, რომელთა დაცვა საჭირო იმისათვის, რომ დაახატოს პირველ თავში ნახატებში აღმანიანს ორგანიზმის ნაწილები და თვით სხეული.

მესამე ნაწილი ასწავლის ჩრდილებისა და სინათლის, აგრეთვე ტანსაცმლის გამოხატვის წესებს.

სახელმძღვანელოს ერთვის ანატომია განმარტებებითა და სურათებით.

ბეტერბურგის ქართველთა კოლონიის წევრებს, რომელთა შორის იოანე ბაგრატიონი განუსაზღვრელი ავტორიტეტით სარგებლობდა, კარგად სცოდნიათ ხელოვნებით, ვასაკეთებრები, მხატვრობით მისი დანტერესება: ამიტომ 1804 წელს ქართულ ენაზე უთარგმნიათ პრესილერის სახელმძღვანელო და მიუერთებიათ იოანე ბაგრატიონისთვის. დასახატეული წიგნის სამეც ნაწილის თარგმანი შეუსრულებია ვასილ ქილიაძეს. იგი სწერს იოანეს:

„უგანათლებულესო მეფის ძეო, მოწყალეო ჩემოფეცი! ორთა უკუე მიზნობაგან აღძრულ ვიქმენ მე, ვადმთარგმნად ქართულთა ენასა ზედა წიგნისა ამის, რომელიცა იწოდების ქელისმძღვანელოდ მხატვრობითისა ქელოვნებისადმი.“

¹ „კალმასობა“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი (ავტორგრაფი H — 2170, ფ. ფ. 237-239).

² იხ. ვიკა ვახანია, იოანე ბაგრატიონის პირველი ქართული ვოკალური და ინსტრუმენტული ინიშების შესასწავლი სახელმძღვანელო, ასპეკტთა ხელოვნება № 5, 1958.

³ „კალმასობა, ხელნაწერი H — 2170, ფ. ფ. 222-223. „კალმასობაში“ გამოქმებნი თავები „ვალთისათვის“ და „ფერთათვის“ არ არის შეტანილი.

⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H — 2375.

ბირეული — ვნახე რა თქვენ შორის აღტყინებული კელოვნებასა შინა ამა სურვილი, არა ძიტვე მე უსაკუურესმა სიყვარულსა და ერთგულბამ, რომელიცა ძაქუა მე და მეძებნისცა მარადისა უგანაოლეულუებისა თქვენისა მოართ, რათა არა ძოვედა ღობისძიება რაიმე ზედმიწევნელებისათვის სასურველისა ამის საგანისა თქვენისა და მეორე — რადგან არა რომელიც მსხურელი ეგზომ არა საამო არის შემწირველისათვის, რაზომცა წარმოებდა საკუთართ თვისთა, შრომათა... ეგზომზე მხიარულ მყოფს მე, რომელ ჩინითა ამით შრომითა მოვიპოვე მე, ძვირად შესაძინებელი და უწარინებულესი მწყალობლად ჩემდა გუამი...

თქვენისა უგანაოლეულუობისა ყოვლად უმორჩილესი მოსამსახურე ვასლი ჰქობამე. ივნისის ივ [15] რიცხვსა, ჩუდ [1804] წელსა“ (ფ. 21).

როგორც წერილიდან ირკვევა, ვასილ ჰილძეს ბრეისლერის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ურჯუმისა იოანე ბაგრატიონის პატეისაცემად, მისი ყურადღების დამსახურებათათვის. მას გადაუთარგმნელი დარჩინა ანატომია. ამ უკანასკნელის გადმოღება ქართულ ენაზე იოანეს გოდერძის ფირალიშვილი იხატვის დასავლეთში, ხოლო ვასილ ჰილძის თარგმანის გადაწერა — მელქისედეკ არაქელას ძე ყაშაშვილისათვის.

ანატომია გოდერძი ფირალიშვილს უთარგმნა 1806 წელს, თარგმანი გადაუწერია თვით იოანეს. ანატომიის მთარგმნელს, ვ. ფირალიშვილს, ძეგლებისა და კუნთების ტარგმნითა მოქმედში დამატარება იოანე ამის შესახებ ვაჟუწყებს ანდრძი, რომელიც იოანეს მისგან გადაწერა გოდერძის თარგმანისათვის დაურთავს:

„დასრულდა ანატომიის აღწერა სახმარად სამხატვროსა ავეისტოს ა [I], წელსა ჩუგ [1806], პეტერბურღსა შინა. დარჩა ეს უთარგმნელად ვასილი მათევიჩის და გოდერძი ფირალიშვილი ვათარგმნინე ეს ანატომია; და ძეგლებისა და ხორციის კუნთების — ლ. ქ.] სახელების პოვნაში შევეწევი მე ვის ძე იოანე, და ეს ანატომიაც მევე ვარდაუსწერე. ქართულთ ერისა და მხატვრობისა მსურველთათჳს დაგმეურ, რომელ არა თუ მხატვრობას, არამედ ლეომეტრიის ხაზებსაც აცნობებს“ (ფ. 177-ბ).

თავის მხრით იოანე ბაგრატიონს ამ სახელმძღვანელონათვის დარგმტეხია ფრესკების დასახატავად კედლის მოწოდების წესი: „აქა სახმარად მეჩუშნა მე, კუალად ზედ დართუა ვეგელთა ზედა მხატვრობისა, თუ ვითარ ჯერ-არს...“

ამ მოკლე გადმოცემულია დარიგება, თუ წინასწარ როგორ უნდა მომზადდეს კედელი დასახატავად, როგორ უნდა გაიკეთოს ხაზები და შემზადდეს ფირები. ეს ავტორგრაფული ჩანაწერი პრაქტიკული ცოდნის შედეგი უნდა იყოს.

იოანე ბაგრატიონს ბრეისლერის სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი (რომელსაც ნახაზები და მხატვრობის ნიმუშები არ ახლავს) ცალკე არ შეუტარა, არამედ იგი დაურთავს გერმანულ-რუსულ ნაგებ შესატყვის ნაწილებისათვის. მაშასადამე, ჯერ მოცემულია (სამივე ნაწილისათვის ცალცალკე) გერმანულ-რუსული ტექსტი, მას მოსდევს ქართული თარგმანი და მხატვრობის შესაბამისი ნიმუშები (ნაგებელი). აქვეა ჩართული მთარგმნელის ვასილ ჰილძისა და ვადაწყურის მელქისედეკ ყაშაშვილის წერილები. ამგვარად, კომპინირებული ტექსტები გერმანულ-რუსული (სტამბური) და ქართული თარგმანი (ხელნაწერი) იოანეს ჩაუსვამს ტყავის ტიფურულ ყდაში და

ყუაზე ოქროს ასოებით დაუწერინებია: „Рисовальня акаѳка“.

არქისლერის განხილული წიგნი, როგორც სათაურიც მოწოდის, წარმოადგება ბატვის სახელმძღვანელოს ცხელია, იგი უსახტვრო სასწავლებელში იხმარებოდა. იგი გამოუყუებია თვით იოანესაც, როცა ხატვის წესებს სწავლიოდა.

მკვლევარებს არაერთხელ აღუნიშნავთ იოანე ბაგრატიონის სახელმწიფოებრივ-სტრატეგიული საქმიანობა, მისი მწერლობა და მეცნიერული ღვაწლი, მხოლოდ მის მხატვრობაზე ჯერ არაად არაფერი თქმულა. ამდენად, ამ ნარკვევში აღდროულ საკითხი იოანე ბაგრატიონის მხატვრობის შესახებ იხტეიებს მოკლებული არ უნდა იყოს.

იოანე ბაგრატიონს რომ მხატვარი ყოფილია, ამას ცხელყოფს ისიც, რომ მის პორტრეტთან გამოსახული ხაზგახატვისათვის საჭირო ნივთები, მაგარამ ყველაზე უტყუარად ამ ფაქტზე მიუთითებს ლენინგრადის სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული წერილი შინაგან საქმეთა მინისტრის ისპა კოზოდავლესსა ნიკოლოზ ალექსანდერეს ძე ტოლსტოისთან. მას, როგორც უწონოს და ჩვენს მიერ დასმული საკითხის გადაჭრისათვის მნიშვნელოვან დოკუმენტს, ვაქვეყნებთ მთლიანად:

Милостивый государь граф Николай Александрович! Находившийся здесь грузинский царевич Иоани Георгиевич, занимающийся живописью, ныне представил мне картину собственной его работы, для представления оной государю императору.

Препровождая у сего означенную картину к вашему сиятельству, я покорнейше прошу вас милостивый Государь, поднести оную его императорскому величеству и последствии сего, почтить меня вашим отзывом для уве-домления об оном царевича Иоанна Георгиевича.

С совершенным почтением. Подписал Осип Козодавлев, В Санкт-Петербурге, 14-го августа, 1814 г.⁷.

წერილი დაცულია ორ ცალად: დედანა და ბორი. დედანს აწერია «Его сиятельству графу Н. А. Толстому».

რა ბედ ეწია იოანე ბაგრატიონის სურათს, რომელიც იმპერატორის იმართმევედ ყოფილა დახატული, ან რას გამოსახად იგი? აი საკითხი, რომელიც ზემოთ მოტანის დოკუმენტის მოთვლითსანავე აღიბრა ჩვენს წინაშე. მის ძებნაში ბევრი დრო დაიხარჯა. საბოლოოდ, ო. კოზოდავლესის წერილში აღნიშნული სურათის დედნის მიზეზა შეუვლით.

განსვენებულ ბროფ. მიხეილ პოლიევქტოვს თავის წერილში „საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში“, მოცემული აქვს

⁷ იოანე ბაგრატიონის პორტრეტი შესრულებული პეტერბურგში, ზეთის საღებავებით, დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმების არქივში.

⁸ ინტერესს არ აჩივს მოკლებული გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის არქივიც დაცული ქეთევან ზურაბის ძე წერეთლის (იოანე ბაგრატიონის მეუღლის) კეთვანი ნივთი ნუსხა, რომელშიც გარდა სამკუთლებისა, წიგნებისა და საოჯახო ნივთებისა, შეტანულია „სამხატვრო იარაღი“ (S — 5346 III, 36).

⁹ უწინგანადის სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 1284, 1814 წ.

¹⁰ „საქართველში არქივი“, წიგნი II, 1927, გვ. 110-123.



ცნობა იმის შესახებ, რომ ტარასი მონაზენის [ალექსი — მესხიშვილი, ლ. ქ.] განზრუნვისა აღმოჩენილი სურათი საკამოძიებელი კომისიის მიერ მიჩნეული იქნა სოლომონ რაამაძის იკავის „დათვი და ცხვარი“ ილუსტრაციებ-ტარასის ვახაარტები კი, იგი წარმოადგენს იოანე ბატონიშვილის მიერ დაბატულ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ს ა ლტეორია, მიღებულია ალექსანდრე პირველისაჲდმი. ამ ცნობამ ჩვენი უფრადგან მიიციცა, ვინაიდან მას ო. კოხოზაძე-ლევის, ზუთოთი თობანილ, წყაროლთან აღმოჩნდა ზოგი რამ საერთო.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის 1ხ2 წლის ფოტოკოლების საქმეებში (ტ. X111) ჩაყრებილი, პროფ. ბ. პოლივეტკოვის მიერ შესრულებული და აღწერილი სურათი შეიცავს აკვარელით შესრულებულ საქართველოს ალტეორიულ გამოსახულებას.

იგი კომპოზიციურად ორადანაა გაყოფილი. შუა ნაწილში მოთავსებულია სახლები, ხეები, ბაღისა (მდელო). რაც სოფლის (ტყეების) სიმბოლიკას წარმოადგენს და აღნიშნავს იმას, რომ არსებობს ორი საწარმო: მიწიერი და ზეციერი. კომპოზიციის ზედა ნაწილში ასეთია: ღრუბლებში გახვეულ, მწვანე ფენებში ჩაწყულ პირს, რომელსაც მარჯვენა ხელში ამოწვდილი ხალდი უჭირია, საყვირის ცემით დაფხის გვირგვინს ადგამს „გამარჯვების ანგოლოზი“. მუნიციპალიტეტის მარცხენი დაფრინავს მუხის პროლოგ-ორობითანი არწივი. მოელ ამ პროცესს დასცქერის „ყოლომისმდეველი ფვალი“.

სურათის ქვედა ნაწილის კომპოზიციურ ჯგუფს შეადგენს სიმეტრიულად განაწილებული ცხოველთა გამოსახულებანი. შუაში მოთავსებულია ცხვრები, მარცხენი მგელი, მარჯვენი მელა, ხოლო მელასა და ცხვრებს შორის ამართულია ორი გველი. ერთ სიმბრტყეზე წარმოადგენილი ამ კომპოქსის ცოტა ქვევით, მარცხენა მხარეს დაბატულია ლომი და ამომავალი მზე, მარჯვენი — დათვი და ნახევარ-მოთავი.

სურათის ახლავს განმარტებები რუსულ ენაზე, რომლებიც უნიან მის შინაარსს, განსაკუთრებით კომპოზიციის ქვემო ნაწილის ალტეორიას. მუხზე მოთავსებულია სურათის სახელწოდება: Гривия. მარცხენი — Восток: Лев — шах, ამის ქვევით — Юг: волк — Лезгины¹⁰, მარჯვენი წერია: Запад: Медведь — Турция, მის ქვევით — Север: Лисица — кавказские жители; ხოლო შუაზე, სურათის სახელწოდების ქვევით — Змеи Посредники.

ღრუბლებში მჯდომი პირი და მის ვეგირით ორთავიანი არწივი, რუსეთის იმპერატორის, მისი ძალისა და რისხვის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენს. რაკი სურათის ქვემო ნაწილის დახატვება მხატვარმა თვითონვე აკვირსა წარწერილი, მეორე ანუ ტყეების ზეითი გამო-სახული „დადავება“ და რისხვა გამოხსული ეკლეს სახით, სატყვის ორ ხდის ალტეორიის იმ ერთ მხარეს, როგორც საც მის მფლობელი ტარასი მღვდელ-მონაზონი იძლევა.

განხილული სურათი „საქართველოს“ სახელწოდებით წარმოადგენს ეკიოს. ვინაიდან იგი ნააოფნი იყო ტარასი ალექსი-მესხიშვილის ბინაზე, ამიტომ საკამოძიებელი კომისიის მისთვის რეზოლუციის ახსნა-განმარტება შედეგ კითხვებზე: 1. „რას ნიშნავს ეს ვახატული სურათი ანუ მას შინა გველი (ზევი ოსტრენდნი)? ვისვან არს გაკეთებული და ვისთვის, და საიდან ჩაკვიარდათ, ან რამდენი ხანი არის შენათა“.

2. იცით ვარემება ზღაპრისა [არაკისა, ლ. ქ.] ცხერისა და დათვის თუ არა? ტარასიმ ამ კითხვებს ასე უპასუხა:

„ქ. ეს ვახატული სურათი, რომელიც ჩემს ქა-ალდებში ვიპოვიანი, ნიშნავს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ს მ ა გ ა ლ ი თ ს. ლომი ნიშნავს სპარსეთს, დათვი —

ოსმალს, მგელი — ლეკებს და მელა მისი ხალხს, და ცხვრები საქართველოს; რომელიც მომეცა იოანე მგელი-ს კ ა რ ე ე რ მ ა სხვათა კარტინებთა შორის, და მისი განვეყრის გაკეთებული და ხელთა მისითავე დახატული. 1817 წელსა, როდესაც მე პეტერბურღში მივიღე, მაშინ მომეცა, რადან მე მაშინ მხატვრობას ვსწავლობდი და ის მაძლედა ხოლმე სამხატვრო მაგალიტებს თხოვით; და იმ მაგალიტებსა თუ ორდინ-გალთა შორის, ეკ კანტინაც იპოვნა და მიზრას: აი უცხო მაგალიტი გაგაკეთე საქართველოსი და ხელმწიფეს მივართვი ამის პირი, ამასაც შენ ვახატე. ეგეცა და სხვებთა ზგერი კარტინები მომეცა. მას აქეთ მოთქმესმთავ წელიწადი და იმას, უფხი, გვინც შევიდეს და რვის წლის უფინ ჰქონდა ვაკეთებულ იქ კარტინა, და თითონვე განმარტება თუ რას ბინავედა მხატვნი, ისე, როგორც ზემო დავესწერე. გველებსა სწორედ არ მასოსვს და გვინებ ასე მითხრა: გველები პასრდენიკებსა ნიშნავს, სა-შუალ მხატვრებებსა სპარსეთსა, ოსმალთა, ლეკთა შორის, რომელიცა ორსაცვე მხრადვე საქართველოზე, რომელთადაცა შეიჭრებულ იყო საქართველო და ეს ზეცით მოვიღინებული, ღრუბლებზე მჯდომივე ორსეთის იმპერატორი არის, რომელიცა მოუღლია ღრუბრთან საქართველოსა შემუშე და მჭარველოდ, რომელმანაც მხატვრითა და ელვითა, ესე იგი, რისხვითა და ძლიერებითა თვისითა განაპიზნა და შეაძრწუნა ზემოხსენებული მტრის საქართველოსანი და მჭარვას საფარველთა თვისითა. ასე განმარტა ცაყვიერმა იოანემ მაგ კარტინის ამბავი და ნაძალადევის მის გაკეთებულაც არს და მისივე ხელით დახატული...“

შეთქმულია საკამოძიებელი კომისიის ტარასი მღვდელ-მონაზონისთვის არ დაუჭერება და რადან ჩხრკისან ნაოფეს, ზემოთ განხილულ, სურათში ცხვრების გამოსახულებაც უნახავს და დათვისაც, ამტომ სოლომონ რაამაძის იკავის („დათვი და ცხვარი“) ილუსტრაციები მიუხერხება. პროფ. ბ. პოლივეტკოვის აზრით, ტარასის მიერ მოცემული განმარტება უფრო ახლთა ქმშმარტებისთან, ვიდრე საკამოძიებელი კომისიის მიერ დადგენილი. ამა-მად ეს ვარაუდო დაშტკიეულად შეიძლება ჩაითვაოს, რადან მიგნებულთა საბუთები, მაუწყებელი ოიანეს მხატვრობით დაინტერესებულა, განსაკუთრებით კი ოსის კოხოზაძეის წყრილი, რომელშიაც, როგორც ვახატე, ლაბარაკია ოიანეს მიერ დახატული სურათის იმპერატორისათვის წადენაზე და, საერთოდ, მის მხატვრობას.

ტარასი მღვდელ-მონაზონიც ამბობს, რომ საკამოძიებელი კომისიის საქმეში ჩართული სურათი მას იოანე ბატონიშვილთან აჩქავა და განუმარტა კიდევაც, რომ იგი წარმოადგენს საქართველოს მაგალიტს (ანუ ალტეორიულ სიუჟეტს) და რომ ამის პირი (ეკიოს ატორი ელდენს უწოდებს) მან მიაჩნდა იმპერატორს.

დასასრულ, ეს სურათი („საქართველო“), რომ სწორედ იმის დედანია, რომელიც აქვე გამოქვეყნებულ დოკუმენტში (ო. კოხოზაძეის წყრილში) მოხსენებულია. დასტურდება სურათის ქვემოთ მოთავსებულ ალექსანდრე პირველის ვერხლოთაც.

იოანე ბაგრატიონის მიერ დახატული სურათი „საქართველო“ ორნადაა ალტეორიული. ერთ ახსნას გვაწვდის ტარასი არქიმანდრიტი. ეს არის ზე ამაღლებული რუსეთის იმპერატორის ძლიერება და რისხვა მიმართული საქართველოს მტრებისაკენ. მაგარა არსებობს მეორე, გაუმწიღავ-ნებელი მხარეც — დაბნული ცხვრების სახით საქართველოს სიმბოლოური გამოსახვა.

იოანე ბატონიშვილისათვის კარგად იყო ცნობილი საქართველოს ბრძოლების სახელოვანი წარსული, ამასთან ერთად იყო დამსწრე და მონაწილე სამშობლოს დაცვისათვის მტრებთან გამართული, თავგანწირული ბრძოლებისა, რასაც, ცხადია, არაფერი ჰქონია საერთო ცხერის ბუნებას-

⁹ ელდენია: Шар (I)
¹⁰ ელდენია: Лезгины (I). ყველა ეს წარწერა გაკეთებულია ტარასის ჩვენების მიხედვით 1832 წელს.

თან. მასასადამე, სამშობლოსა და თანამემამულეთა მოყვარულ, მათთვის ღვაწლმოსილ იოანე ბაგრატიონის არაერთარ შემთხვევაში არ შექმნილ მტრებით გარემოებებში საქართველოს სიმბოლოა დაბნეული ცხვრის ფარის სახით გამოესახა. სწორედ ამ არის ამ სურათის ალუგორიის მეორე და მთავარი მხარე. სურათს თუ დავეკრებებით ვაქსინავთ, ვნახათ, რომ ორთავიანი არწივისგან გამომავალი რისხვა და მებტეხა (ელვის გამომსახველი ხაზებით) არა მარტო საქართველოს მტრებს (მგლის, მელისა და ვეკლეუბის სახით) ეცემა, არამედ ცხვრის ფარსაც, ე. ი. საქართველოსავე. ეს ვაუმტყავებელი, ვინებამახვილური და ნიშნის მიხედვით ალუგორია უნდა განმხადარყო იოანესთვის მიზეზიც და მიზანაც შექმნა სურათი, ანუ როგორც თვითონ უწოდებს, „საქართველოს მაგალითი“ — თვითმპყრობელი იმპერატორის ალექსანდრე I მისართმევად.

იოანე ბაგრატიონის მხატვრობა შესასწავლია, მოსაძებნია, როგორც სხვა მასალა მისი შემოქმედებიდან, ასევე განხილული სურათის ის ცალიც, რომელიც იმპერატორის სასახლეში იქნა მიტანილი. ამ საკითხით, ალბათ, დანტერესდებიან სპეციალისტები, ჩვენ კი ერთ დეტალზედაც მივაქცევთ ყურადღებას. (პრეისლერის ხატვის სახელმძღვანელოში მოთავსებული ერთ-ერთი ნიმუში, ფრთოსანი გამოსახულება, რომელსაც თუ ხელში საყვირი უჭირავს, მეორეში კი დადგის კვირავინი, კომპოზიციურად ჰკავს იოანეს მიერ დახატულ „გაბარჯეების ანკილოს“). ასევე საყვირითა და დადგის გვირგვინით ხელში. მათი ურთიერთან შედარება გაკარწყუნებს, რომ იოანე ბაგრატიონი პრეისლერის ნიმუშებსაც იყენებდა საყოფარესო სიუჟეტების შექმნის დროს.¹¹

იოანე ბაგრატიონს, როგორც ტარასი აღნიშნავს ჩვენებაში, ბერის ჰქონია საყოფარესო ხელით შესრულებული სურათები და მისთვის გარდა „საქართველოს მაგალითისა“, სხვებიც უჩუქებია. 1832 წლის დეკემბერში, ვაჩხრაგის დროს, პოლიციამ ტარასი ალექსი-მესხიშვილის სახლიდან წამოიღო ის ცალი, რომელიც საეჭვოდ მიიჩნია. ამით საგამომიძებლო კომისიამ შემოგვინახა იოანეს იმ სურათის ესკიზი, რომელიც მას ალექსანდრე პირველისთვის წარუდგენია ო. კოზოდავლესმა და ნ. ა. ტოლსტოის მეშვეობით.

იოანე ბაგრატიონს ხელნაწერთა მოხატვაზედაც უმუშავებია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელ-

ნაწერთა ინსტიტუტში დაცულია პატარა ზომის, შეინდისფერ ტყავის ყდაში ჩასმული ხელნაწერი, რიჯის სახატეზე¹² გადაწერილი პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლაგარაში, მაგრამ ბატონი ივანე ისათვის, ებიფანე ბუჭყიაშვილის მიერ. მისთვის შემზადებული ამ წიგნაკის მოხატვა მხატვრულთა მინიატურებით იოანეს უკისრნია. მინიატურების ქვევით იოანეს ხელით მიწერილია: „მეფის ძემ იოანე დაგხატე წელსა 1814“. ეს მინიატურები ევროპულიდან მომდინარეობს ამჟღავნებს. მახარებლებთან ებმუღებში და ნიშნები პატარა წრის სახით, ამასთან იოანე მახარებლის გამოსახვა ახალგაზრდად, უწვევრულვამოდ, ევროპული იკონოგრაფიის დამახასიათებელია.

იოანეს ჩვეულებად ჰქონია თავისი ნაწერების დასაწყისი და დასასრულიც მოეხატა, ანდა თავისი ავტოგრაფების კიდებზე საყოფარესო მხატვრობის კვალი დაემჩინა.¹³

იოანე ბაგრატიონს ხატვა, ეჭვს ვერცხვავს, ბავშვობიდან ეხებრებოდა, მაგრამ მას, მისი შესწავლა პეტერბურგში გაუღრმავებია. იოანეს სწამდა: ქვეყანას რომ გამოადგე, უნდა იყო განათლებული, ხოლო განათლებული აღამიანი შეცნებებისა და ხელოვნების ყველა დარგს უნდა ფლობდეს. იმდროინდელი პეტერბურგი საეჭვო იყო რუსი და უცხოელი მხატვრებით. არ არის გამოჩენილი ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოებრივ მოღვაწეს და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი იოანე ბატონიშვილს ხატვის მასწავლებელი (მუსიკისაც ვერცხვავს) სახლში დაულოთა. ხაზა-ხატაკში იოანეს მიერ სპეციალური განათლების მიღების მაჩვენებელია ისიც, რომ მის მიერ თარგმნილ კონდილიაკის ლოკიკაში¹⁴ კარგად შესრულებული ნახაზებიც მასვე ეკუთვნის.

იოანე ბაგრატიონის მხატვრობის გამოვლენა და შესწავლა ინტერესს მოკლებული არ არის XIX საუკუნის პირველი ნახევრის მხატვრობის ისტორიისათვის.

¹² Q — 370.

¹³ ულენინარდის სალტიკო-შედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, იოანე ბატონიშვილის კოლექცია № 152, 270.

¹⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწ. S — 1151 (იოანეს ავტოგრაფი).

შენიშვნა: ფერადი სურათის წარწერებში, პირის ვადმომების დროს, დაშვებულია შეცდომის ნაცვლად Посланники-სა უნდა იყოს Посредники.

¹¹ იხ. H — 2375, გვ. 74.



მ ე გ ო ბ რ ო ბ ი ს მ უ ზ ე უ მ ი

ირაკლი თულაშვილი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1938 წლიდან მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება უკრაინის სსრ გენჩისკის რაიონის სტალინის სახელობის და საქარაველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებს შორის. ამ ორი კოლმეურნეობის შეჯიბრებას, მთ მძურ თანამეგობრობას ასახავს სოფელ შრომის მუზეუმი, რომელიც ახალ შენობაშია მოთავსებული და ოთხი კანცყოფილებიდან შესდგება.



კოლმეურნეობის შენობა, სადაც მოთავსებულია მეგობრობის მუზეუმი

I განყოფილება მიღწეულია რუსი, ქართველი და უკრაინელი ხალხების ისტორიული მეგობრობის თემისადმი. სხვა ექსპონატებს შორის ყურადღებას იქცევს თებრთ გელდიანის ხელთ ნაქსოვი ძვირფასი ხალხია თამარ მეფისა და ქართული ორნამენტების გამოსახულებით. იგი შესრულებულია 1910-14 წლებში და ბალახის ქსოვის ხელოვნების ნიმუშად ითვლება.

ამავე განყოფილებაში გამოიდინილია რუსთაილის პორტრეტი მისი ცნობილი აფორიზმით: „იენ მოყარესა არ ექებას, იგი თავისა მგერია“.

აქვე გვხვდათ დავით გურამიშვილის, ტარას შეჩენაოს, აკაკი წორითის, ლუისა უგარინასა ე. ი. იმ დიდ მწირობა მხატვარულ პორტრეტებს, რომლებიც თაიანთი საზოგადოებრივი მოღვაწეობით, შემოქმედებით მწირობილიანი წოლია შეიჭარანის უკრაინელთა და ქართველთა სულიერ დაახლოებას და მეგობრობაში.

დარბაზის ცენტრში მოთავსებულია ე. ი. ლენინის დიდი პორტრეტი, გენიალური ბელადის გამოთქვებში სოციალისტური შეჯიბრების თაობაზე:

„...დღეს, როდესაც ხელისუფლების სათავეში სოციალისტური მოაზრობა დგას, ჩვენი ამოცანაა — შეჯიბრების მოწყობა“.

„სოციალიზმი არა თუ აქრობს შეჯიბრებას, არამედ პირობით, პირველად ქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობას. ნამთილად დაჩაბობ, ნაწილილად მასობრივად, შესაძლებლობას ნამდვილად გამოყენილი იქ-

